

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

## წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 9 თებერვლის №4 სხდომის მიერ

## გამოკითხვის წესით მიღებული

### დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარუდგინა საკითხი სტუ-ის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სტუ-ის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტებში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 15 იანვრის 20 ბრძანებისა და 2016 წლის 20 იანვრის MES 21600041407 წერილის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებას, ტექნიკური უნივერსიტეტის ანგარიშზე ჩარიცხულია 211 800 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდოს სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გრაფა „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“, ხოლო ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს პროგრამულად „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამით;

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის 2016 წლის 8 თებერვალს გაფორმებულია 09-1/62-13 ხელშეკრულება, საიდანაც 2016 წელს სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დაფინანსება დაგეგმილია პროგრამული დაფინანსების წესით „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 8 თებერვლის 73 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამა „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ ფარგლებში სტუ-ის 16

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაფინანსება შეადგენს სულ 5 339 410 ლარს, რაც ექვემდებარება სტუ-ის ნაერთ ბიუჯეტში ასახვას, ბიუჯეტის გაზრდას 5 339 410 ლარით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დამტკიცდეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების 2016 წლის ბიუჯეტები, საშტატო განრიგები და შრომის ანაზღაურების ფონდები, კერძოდ:

2.1. **ბიოტექნოლოგიის ცენტრი:** ბიუჯეტი – 200 200 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 16; შრომის ანაზღაურების ფონდი – 111 600 ლარი;

2.2. **ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი:** ბიუჯეტი – 563 400 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 53; შრომის ანაზღაურების ფონდი – 383 200 ლარი;

2.3. **გეოეკოლოგიური მონიტორინგის განყოფილება:** ბიუჯეტი – 27 100 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 3; შრომის ანაზღაურების ფონდი – 22 200 ლარი;

2.4. **ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი:** ბიუჯეტი – 248 900 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 19; შრომის ანაზღაურების ფონდი – 150 600 ლარი;

2.5. **ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი:** ბიუჯეტი – 472 200 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 68; შრომის ანაზღაურების ფონდი – 433 400 ლარი;

2.6. **ვ. ჭავჭავაძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტი:** ბიუჯეტი – 1 227 810 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 159; შრომის ანაზღაურების ფონდი – 1 030 800 ლარი;

2.7. **ნაგებობების სპეციალური სასტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი:** ბიუჯეტი – 470 400 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 51,5; შრომის ანაზღაურების ფონდი – 366 400 ლარი;

2.8. **საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი:** ბიუჯეტი – 253 600 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 24; შრომის ანაზღაურების ფონდი – 189 600 ლარი;

2.9. **სენსორული ელექტრონიკისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრი:** ბიუჯეტი – 43 700 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 3,5; შრომის ანაზღაურების ფონდი – 35 700 ლარი;

2.10. **ინსტიტუტი „ტალდა“:** ბიუჯეტი – 96 400 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 13,5; შრომის ანაზღაურების ფონდი – 92 000 ლარი;

2.11. ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი: ბიუჯეტი – 493 000 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 65; შრომის ანაზღაურების ფონდი – 352 300 ლარი;

2.12. კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი: ბიუჯეტი – 272 000 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 36; შრომის ანაზღაურების ფონდი – 201 600 ლარი;

2.13. მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი: ბიუჯეტი – 130 900 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 15,5; შრომის ანაზღაურების ფონდი – 80 300 ლარი;

2.14. ა. ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი: ბიუჯეტი – 461 100 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 69; შრომის ანაზღაურების ფონდი – 406 600 ლარი;

2.15. ინსტიტუტი „ტექინფორმი“: ბიუჯეტი – 264 300 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 33; შრომის ანაზღაურების ფონდი – 209 000 ლარი;

2.16. კვანტური ფიზიკისა და საინჟინრო ტექნოლოგიების ინსტიტუტი: ბიუჯეტი – 114 400 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 10; შრომის ანაზღაურების ფონდი – 78 600 ლარი;

დამტკიცებული ბიუჯეტებისა და საშტატო განრიგების პროექტების ამოქმედების ვადად განისაზღვროს 2016 წლის 1-ლი იანვარი.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს  
2016 წლის 9 თებერვლის №4 სხდომის მიერ  
გამოკითხვის წესით მიღებული

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს პროფ. თამაზ ბაციკაძემ წარუდგინა საკითხი სტუ-ის სტრუქტურაში „მართვადი ცივი ბირთვული სინთეზის სამეცნიერო-კვლევითი საწარმოო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 თებერვლის დადგენილება №1908.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სტუ-ის სტრუქტურაში „მართვადი ცივი ბირთვული სინთეზის სამეცნიერო-კვლევითი საწარმოო ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე